



## ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

### განკარგულება № 3

2016 წელი 1 თებერვალი

#### ხაშური

„ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2015 წლის 12-14 ნოემბერს მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ დაზარალებულ მოქალაქეთა დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №158 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2015 წლის 12-14 ნოემბერს მომხდარი სტიქიის შედეგად მოსახლეობის ინფრასტრუქტურას მიაღდა მნიშვნელოვანი ზიანი. დაიტბორა ხაშურში, დაბა სურამში და ხაშურის მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებში, მდინარე სურამულას მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა. ძლიერი ქარის შედეგად დაზიანდა მრავალბინიანი და ინდივიდუალური საცხოვრებელი ბინების სახურავები, რის გამოც საჭირო გახდა დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარების გაწევა. სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის მიზნით დამტკიცდა ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2015 წლის 12-14 ნოემბერს მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, დაზარალებულ მოქალაქეთა დახმარების პროგრამა და სამუშაოთა სახელმძღვანელო განფასებების სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშება დანართი №2-ის შესაბამისად. შპს „არქიტექტორის“ დირექტორის მიერ, რომელიც არის კომისიის მოწვეული წევრი, 2016 წლის 21 იანვარს №3 წერილით წარმოდგენილი იქნა ფასთა ცვლილების შესაბამისად ახალი კორექტირებული დანართი №2, რის გამოც საჭირო გახდა 2015 წლის 15 დეკემბრის №158 განკარგულებაში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის საფუძველზე, შპს „არქიტექტორის“ დირექტორის 2016 წლის 21 იანვარს №3 წერილის შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2015 წლის 12-14 ნოემბერს მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ დაზარალებულ მოქალაქეთა დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №158 განკარგულებაში, დანართი №2 ჩამოყალიბდეს ახალი დანართი №2-ის სახით. (დანართი №2 თან ერთვის);
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე [www.khashuri.org.ge](http://www.khashuri.org.ge) გამოქვეყნებისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე

მასალების გაფასებები 2015 წლის III კვარტლის მონაცემებით დღეს გარეშე

№	დასახელება	განზ.	რაოდ.	მასალა		ხელფასი		მანქანა-ტექნიკური ტრანსპორტი		ჯამი სულ
				ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
1	დაღამული ტერიტორიის გაწმენდა	მ3	1			3,0		4,00		
2	ფიცარი იატაკის მშრალი შიბებით 40მმ	მ2	1	23,00		8,0				
3	ფიცარი იატაკის მშრალი უშიბო 40მმ	მ2	1	21,00		6,0				
4	ახზოცემენტის ტალღოვანი შიფერი	მ2	1	7,90		3,0				
5	კედლის შულესვა	მ2	1	2,00		4,0				
6	მოთუთიებული თუნუქის ფურცელი 0,5მმ	მ2	1	7,90						
7	კედლის დამუშავება და შედევა წყალუმჯობესის საღებავით 2-ჯერ	მ2	1	2,90		4,5				
8	იატაკი (ლინენიუმი ჩვეულებრივი) 4,9 დან 9,0 ლარამდე	მ2	1	7,00						
9	იატაკი (დიქტი მერქანბურბუმელოვანი) "დსკ" 16მმ	მ2	1	9,50		2,5				
10	იატაკი (დიქტი მერქანბურბუმელოვანი) "დსკ" 18მმ	მ2	1	10,90		5,0				
11	იატაკი (ლამინატი) პლინტუსით	მ2	1	12,00		3,0				
12	თაბაშირ-მუყაოს ფილა	მ2	1	3,10		7,9				
13	ცემენტი M-400	ტ5	1	170,00						
14	ვარკეტი	მ2	1	35,00		12,0				
15	ხის კოჭი 10x20სმ	მ/მ	1	11,50						
16	ხის კოჭი 8x16სმ L6,08	მ/მ	1	8,20						
17	შპალური ჩვეულებრივი ქაღალდის ფუტეხე L=10,0მ 4,8 დან 11 ლარამდე	რულ	1	11,00						
18	ბეტონი 300	მ3	1	108,00						
19	ბლოკი 40x20x20 /ბეტონი 1,35; კემზა 1,52/	ტაბი	1	1,35		0,5				
20	„ქვიშა-ჩემენტის“ დუღაბი	მ3	1	98,00						



შპს "არქიტექტორი"-ს დირექტორი: მ. მაყიფილი